№ 266/05-8 "23" 01 2012

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული

კომისიის თავმჯდომარეს

ბატონ ირაკლი ჩიქოვანს

ბატონო ირაკლი,

გაცნობებთ, რომ სს „სილქნეტმა" მისი შეთავაზების წინადადებებში (მოწვევის ოფერტებში) შეიტანა შემდეგი სახის ცვლილებები:

1. *სს „სილქნეტის" საკუთარი ფიქსირებული სადენიანი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების შეთავაზების წინადადებაში (ოფერატა) შევიდეს ცვლილება და მისი 5.2. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:*

"5.2. ორაზროვნების თავიდან აცილების მიზნით, წინააღმდეგობა მხარეების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთ-ერთი მხარე წერილობითი ფორმით და წინამდებარე პუნქტის მიხედვით დადგენილი პირობების დაცვით მეორე მხარეს წარუდგენს გადაანგარიშების მოთხოვნას საოქმო გადაწყვეტილების წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში. მხარის მიერ გადაანგარიშების მოთხოვნაში დაფიქსირებული უნდა იყოს დარიცხული თანხისა ან/და ტრაფიკის რა ნაწილს ეთანხმება იგი და რას არა, რა საფუძვლით ხდის სადაოდ დარიცხულ თანხას. ასევე, გადაანგარიშების მოთხოვნას თან უნდა დაერთოს ყველა ის დოკუმენტი თუ სხვა სახის მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს მხარის

საქართველო, 0112 თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ.95
ტელ: (+ 995 32) 2 10 00 00;
ფაქსი: (+ 995 32) 2 10 00 01
www.silknet.com

95 Tsinamdzgvrishvili Street, 0112 Tbilisi, Georgia
Tel: (+ 995 32) 2 10 00 00
Fax: (+ 995 32) 2 10 00 01
www.silknet.com

№6/370-12
23 01 2012
2 ფურცელი

მოთხოვნის საფუძვლიანობას. განსხვავება მხარეების მიერ წარმოდგენილ ტრაფიკის შესახებ ინფორმაციაში ან/და მხარეთა კუთვნილი თანხების ოდენობაში უნდა იყოს 1,5 პროცენტზე ან 200 ლარზე მეტი. იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა მიერ წარმოდგენილი ტრაფიკის ოდენობის შესახებ მონაცემებში პროცენტული განსხვავება არ არის 1,5 პროცენტზე მეტი, და არ აღემატება 200 ლარს, მხარეების მიერ მისაღები თანხები აღიარებულ იქნება ბილინგის ურთიერთმონაცემებზე დაყრდნობით (ანუ თითოეული მხარე შემოსავლის ნაწილში ეყრდნობა საკუთარ საბილინგო მონაცემებს, ხოლო ხარჯვით ნაწილში – მეორე მხარის საბილინგო მონაცემებს)."

2. *გაგრძელდეს სს "სილქნეტის" შეთავაზების წინადადებების (მოწვევის ოფერტების) მოქმედების ვადა 6 თვით - 2012 წლის 31 ივლისამდე, შემდეგ მომსახურებებზე:*

1. სს "სილქნეტის" საკუთარი ფიქსირებული სადენიანი ქსელით ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურება;
2. სს "სილქნეტის" მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვებისა და მაგისტრალური საკომუნიკაციო არხებით მომსახურება;
3. სს "სილქნეტის" ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვება;
4. სს "სილქნეტის" საკუთარი ქსელის შესაბამის ელემენტებთან გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურება;
5. სს "სილქნეტის" სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების ფართოზოლოვან რესურსთან დაშვება.

3. *ზემოაღნიშნული ცვლილებები ძალაშია 2012 წლის 30 იანვრიდან.*

4. *გთხოვთ, აღნიშნული ცვლილებები შეიტანოთ კომისიის ვებ–გვერდზე გამოქვეყნებულ სს „სილქნეტის" ზემოაღნიშნულ მოწვევის ოფერტებში.*

პატივისცემით,

ლევან ბუჩუკური
გენერალური დირექტორი